ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4897477

ნომერი: AR1738769

თარიღი : 09.03.2020

გაცემის თარიღი : 12.03.2020

გაცნობის თარიღი : 12.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ახვლედიანი , N22;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- ფანასკერტელ-ციციშვილის 6, ბ 195

ორგანიზაცია:
- შპს "ბეტა ჯგუფი" კოდი: 405171996

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 9 მარტს NAR1738769 განცხადებით მომართა გიორგი ჯოხაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), გ. ახვლედიანის ქ.N22-ში, N01.15.03.024.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 7 სექტემბრიდან 2020 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1121.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1129.3 კვ.მ-ის დაფიქსირებას, სარდაფის ფართობად 274.7 კვ.მ-ის ნაცვლად 274.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას, სასაწყობე ფართობად 329.0 კვ.მ-ის ნაცვლად 169.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას, დამხმარე ფართობად 360.0 კვ.მ-ის ნაცვლად 348.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას, სასტუმროს ნომრების ფართობად 1990.9 კვ.მ-ის ნაცვლად 2064.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ხოლო, საერთო ფართობად 4090.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4000.2 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად ნაცვლად 1121.4 კვ.მ-ისა უნდა მიეთითოს 1129.3 კვ.მ, სარდაფის ფართობად 274.7 კვ.მ-ის ნაცვლად 274.5 კვ.მ. სასაწყობე ფართობად 329.0 კვ.მ-ის ნაცვლად 169.5 კვ.მ, დამხმარე ფართობად 360.0 კვ.მ-ის ნაცვლად 348.6 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობად 1990.9 კვ.მ-ის ნაცვლად 2064.1 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობად 4090.2 კვ.მ-ის ნაცვლად 4000.2 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებაში და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად მიეთითოს 1129.3 კვ.მ, სარდაფის ფართობად 274.5 კვ.მ, სასაწყობე ფართობად 169.5 კვ.მ, დამხმარე ფართობად 348.6 კვ.მ, სასტუმროს ნომრების ფართობად 2064.1 კვ.მ, საერთო ფართობად 4000.2 კვ.მ.

2. სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 7 სექტემბრის №4158520 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.